

იანვარი, 2026 კლიმატური დახასიათება

იანვრის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა დაბალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული ციკლონური აქტივობა. თვის პირველ ნახევარში დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის მასების პერიოდულმა შემოჭრებმა გამოიწვია ნალექიანი ეპიზოდები თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. შემდეგი რამდენიმე დღე ცივი და ნალექიანი ამინდები დაკავშირებული იყო ერთდროულად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთიდან ნოტიო ჰაერის და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ცივი ჰაერის მასების გავრცელებასთან. შედეგად, ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, მათ შორის, დედაქალაქში აღინიშნებოდა ძლიერი ინტენსივობის ნალექები, უმეტესად - თოვლის სახით.

იანვარში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში ან უფრო მაღალი აღინიშნა. მრავალწლიურ ჭრილში, ეს იყო 2022 წლის შემდეგ ყველაზე ცივი იანვარი (ნახ.1).

ჰაერის ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ $+0.5^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი დადებითი გადახრებით ($+2.5^{\circ}\text{C}$ -მდე) ჯავახეთის ზეგნის ცენტრალურ ნაწილში. ტემპერატურის უარყოფითი გადახრები (-1.0°C -მდე) ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ცალკეულ მთიან რაიონებში დაიკვირვებოდა.

თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპიროსა და კოლხეთის დაბლობზე $+5$, $+9^{\circ}\text{C}$, დასავლეთის მთიან რაიონებში და აღმოსავლეთის ვაკე ტერიტორიაზე 0 , $+4^{\circ}\text{C}$ ხოლო დანარჩენ მთიან და მაღალმთიან ნაწილში -7 , -1°C -ის ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები უმეტეს ტერიტორიაზე, ძირითადად, თვის პირველ დეკადაში (5-9 იანვარი), ხოლო ქვეყნის ცენტრალურ და ცალკეულ მთიან რაიონებში - თვის ბოლო რიცხვებში დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას იანვრის თვეში ადგილი არ ქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+18$, $+21^{\circ}\text{C}$ -ს დასავლეთის სანაპირო და დაბლობ რაიონებში მიაღწია.

იანვარში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის დასაწყისში (3-4 იანვარი) აღინიშნა, როდესაც აბს. მინიმუმები ქვეყნის მთიან და ასევე, ცენტრალურ ვაკე რაიონებშიც (ხაშური, გორი) -13 , -17°C -მდე, ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში ზოგან -18 , -24°C -მდე დაეცა.


ნალექების რაოდენობის მიხედვით, იანვრის თვე ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე ნორმის მახლობელი ან უფრო მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა (ნახ.2).

ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა ქვეყნის აღმოსავლეთში: ქვემო ქართლში, კახეთში და მცხეთა-მთიანეთში, ნორმალურ მნიშვნელობებთან შედარებით ზოგან დაახლოებით 3.5 - 4 -ჯერ მაღალი ნალექების თვის ჯამებით, თუმცა ქვეყნის ფარგლებში ნალექების უდიდესი რაოდენობა (230 - 350 მმ), ჩვეულებრივ, შავი ზღვისპირა ზოლში მოვიდა. ნალექების გარკვეულ დეფიციტს ადგილი ჰქონდა მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ ცენტრალურ რაიონებში, ლიხის ქედის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც თვის მანძილზე ყველაზე მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 60% -მდე) დაიკვირვებოდა.


როგორც ჩანს, მიმდინარე წლის იანვრის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა განპირობებული იყო ზოგადად ნალექიან დღეთა სიხშირით. ამასთან, პერიოდულად ადგილი ჰქონდა რამდენიმე უხვნალექიან ეპიზოდს. მათ შორის, 19 იანვარს დაფიქსირდა იანვრის თვისთვის უკანასკნელი 40-წლიანი პერიოდის ნალექების რეკორდული დღელამური მაქსიმუმები (თელავი, თიანეთი), ხოლო დედაქალაქში თოვლის სახით 24-საათში თვის ნორმაზე თითქმის ორჯერ მეტი ნალექი მოვიდა, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია უკანასკნელ 70-წლიან პერიოდში.

01 იანვარს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის უმეტეს რაიონებში ადგილი ჰქონდა დიდთოვლობას. თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა გარკვეული შეფერხებები შექმნა გზებზე, ასევე, შეზღუდვები იყო ელექტროენერჯის მიწოდებაშიც. რთული მეტეოროლოგიური პირობების და ზვავსამიშროების გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე დროებით შეზღუდული იყო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

17-20 იანვარს ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, დედაქალაქში აღინიშნებოდა ნალექები, უმეტესად - თოვლის სახით. ქ. თბილისში მოქმედი მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით, თოვა დაიწყო 17 იანვარს, ადგ. დროით 22:00 სთ-ზე და გაგრძელდა სხვადასხვა ინტენსივობით 20 იანვრის 09:00 სთ-მდე. ამასთან, 18 იანვრის 16:00 სთ-დან უწყვეტად თოვდა 41 სთ-ის განმავლობაში. ნალექების ყველაზე მაღალი ინტენსივობა აღინიშნა 19 იანვარს, როდესაც მოსული ნალექის დღელამურმა რაოდენობამ შეადგინა 30.1 მმ. 17-20 იანვრის პერიოდში თოვლის სახით მოსული ნალექების რაოდენობა დაფიქსირდა 49.8 მმ, რაც ქ. თბილისისთვის იანვრის თვის კლიმატურ ნორმას (16.4 მმ) 3-ჯერ აღემატება. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე - 18 სმ აღინიშნა 20 იანვარს. ქ. თბილისის უკანასკნელი 70-წლიანი პერიოდის (1956-2025 წ.წ) მრავალწლიური მონაცემების ანალიზით, 2026 წლის 17-20 იანვრის პერიოდში მოსული ნალექების როგორც 3-დღიური რაოდენობა, ისე დღელამური მაქსიმუმი, იანვრის თვისთვის წარმოადგენს რეკორდულ მაჩვენებელს, ხოლო უფრო მაღალი თოვლის საფარი დაფიქსირდა მხოლოდ ოთხჯერ 1988 (44 სმ), 1993 (41 სმ), 1992 (19 სმ) და 2010 (19 სმ) წლებში. ამასთან, დაწყებული 1993 წლიდან, უპრეცედენტო იყო უწყვეტი თოვის ხანგრძლივობა (41 სთ). ძლიერმა თოვამ გამოიწვია შეფერხებები გზებზე და ელექტრომომარაგების შეზღუდვები, დაზიანდა ინფრასტრუქტურა. უამინდობის მხრივ, ყველაზე რთული ვითარება დედაქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე (კოჯორი, ტაბახმელა, წავკისი, კიკეთი, ბეთანია) აღინიშნებოდა.



ნახ.1. იანვრის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების იანვრის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში